სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების
დანართი N1

ქ. მცხეთა 04 დეკემბერი 2017 წელი

„გორის, ამბროლაურის, მცხეთის, ოზურგეთის, თელავის, ახალციხის და ზუგდიდის მუნიციპალიტეტების შექმნის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2017 წლის 15 ივნისის N987-II საფუძველზე, თვითმმართველი ქალაქი მცხეთა და მცხეთის მუნიციპალიტეტი გაერთიანდა ერთ თვითმმართველ ერთეულად „მცხეთის მუნიციპალიტეტად“ გამომდინარე აღნიშნულიდან, ერთის მხრივ, მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია, (ს/კ 236099789) შემდგომში „შემსყიდველი“ წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის მერის გიორგი კაპანაძის სახით და მეორეს მხრივ შპს “ PowerNet“ (ს/კ 435428672), შემდგომში „მიმწოდებელი“, წარმოდგენილი მისი დირექტორის ი. ცერცვაძის სახით ვთანხმდებით შემდეგზე:

მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და შპს „PowerNet“ შორის 2017 წლის 26 სექტემბერს მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფლეში ტერიტორიული ერთეულების ადმინისტრაციულ შენობებში ინტერნეტ მომსახურების შესყიდვაზე გაფორმებულ N98 ხელშეკრულებაში განხორციელდეს შემდეგი ცვლილებები:

ა) შემსყიდველი ორგანიზაციის რეკვიზიტებში-ნაცვლად მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობისა, მხარეთ მიეთითოს მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია (ს/კ 236099789), მერი- გიორგი კაპანაძე.

ბ) ხელშეკრულების მე-11 მუხლი 11.1 პუნქტში ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

პუნქტი 11.1 ხელშეკრულების პირობების კონტროლს და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერას შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან განახორციელებს მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვების განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი გიორგი პაპაშვილი.

ხელშეკრულების ყველა სხვა პუნქტი დარჩეს უცვლელი.

დანართი N1 შედგენილია 3 თანაბარი იურიდიული ძალის მქონე იდენტურ ეგზემპლარად, საიდანაც 2 ეგზემპლიარი რჩება შემსყიდველთან, ხოლო ერთი ეგზემპლიარი გადაეცემა მიმწოდებელს.

მხარეთა ხელმოწერა:

„შემსყიდველი“
მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია
მერი
გიორგი კაპანაძე

„მიმწოდებელი“
შპს „PowerNet“
დირექტორი
ი. ცერცვაძე